



Covid-19 კონტაქტების მიღევნება: საფუძვლები

ემილი ს. გარლი, PhD ჯონს
ჰოპკინსის უნივერსიტეტის
ბლუმბერგის საზოგადოებრივი
ჯანდაცვის სკოლა



კურსის სასწავლო მიზნებია, შევისწავლოთ:

- ▶ კონტაქტების მიღვევნების არსი და მისი გამოყენება COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად;
- ▶ რას ნიშნავს COVID-19-ის „შემთხვევა“ და რას - „კონტაქტი“;
- ▶ რას ნიშნავს თვითიზოლაცია და კარანტინი, და რა არის მათი დანიშნულება;
- ▶ იმის გამოთვლა, თუ რამდენ ხანს უნდა იმყოფებოდეს „შემთხვევა“ იზოლაციაში და „კონტაქტი“ - კარანტინში;
- ▶ როგორ უკავშირდება გადამდებლობის პერიოდი იზოლაციას და კარანტინს;
- ▶ ინფექციის გადაცემის მაღალი რისკის შემცველი გარემოს ამოცნობა, რომელიც დამატებით ქმედებას მოითხოვს.

კონტაქტების მიღვენება COVID-19-ის პრევენციისთვის



Copyright © 2020 Johns Hopkins University and Emily Gurley. Except where otherwise noted, this work is licensed under a [Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0](https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/4.0/) license.

Johns Hopkins Bloomberg School of Public Health

COVID-19-ის დადასტურებული „შემთხვევა“ საჭიროებს ქმედებას

- ▶ COVID-19-ის „შემთხვევის“ დადგენა მნიშვნელოვანია, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ:
- ▶ მხარი დავუჭიროთ ინფიცირებულ ადამიანს;
 - ▶ დავრწმუნდეთ, რომ საჭირო სამედიცინო დახმარება თუ სოციალური სერვისები მისთვის ხელმისაწვდომია;
 - ▶ შევთავაზოთ მკურნალობა;
 - ▶ შევზღუდოთ მათი კონტაქტი სხვა ადამიანებთან;
- ▶ ამოვიცნოთ ადამიანები, რომლებსაც მათ, შესაძლოა, უკვე გადასცეს ინფექცია;
- ▶ ვაცნობოთ მათ ინფექციის წყაროსთან კონტაქტის შესახებ და საჭიროებისამებრ შევთავაზოთ მკურნალობა;
- ▶ შევზღუდოთ მათი კონტაქტი სხვა ადამიანებთან.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა COVID-19-ის პრევენციისთვის

კონტაქტების მიღევნების მიზანია შევძლოთ კონტაქტის შეზღუდვა დაინფიცირებულ „შემთხვევებსა“ და სხვა ადამიანებს შორის. თუ ამას მოვახერხებთ, ჩვენ შევძლებთ შევზღუდოთ ვირუსის გავრცელება, რაც COVID-19-ის შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ინფექციის ქრონოლოგია: გადამდებლობის პერიოდი

კალენდარული დღეები **CALENDAR DAYS**

0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30

Person infected

ინფიცირებული ადამიანი



Incubation period

(ranges from 2-14 days, but typically 5 days)

ინკუბაციური პერიოდი

(2-14 დღემდე მერყეობს, მაგრამ, როგორც წესი, 5 დღეს გრძელდება.)

იწყება სიმპტომებამდე 2 დღით ადრე

Starts 2 days **PRIOR** to symptoms

Signs and symptoms



(mild illness, about 10 days)

(severe illness, 2 or more weeks)

ნიშნები და სიმპტომები

(მსუბუქი დაავადება, დაახლოებით 10 დღე გრძელდება)

(მძიმე დაავადება, 2 კვირას ან მეტ ხანს გრძელდება)

Infectious period

გადამდებლობის პერიოდი

Most infectious at **day 1** of symptoms

ყველაზე გადამდებია სიმპტომების გამოვლენის **პირველ დღეს**

Contagion lessens with time

გადამდებლობა სუსტდება დროთა განმავლობაში

ინფექციის ერონოლოგია: ინფიცირებულის კონტაქტი




Image source: Center for Teaching and Learning, Johns Hopkins Bloomberg School of Public Health.

ინფექციის ქრონოლოგია: შესაძლებლობის ფანჯარა




Image source: Center for Teaching and Learning, Johns Hopkins Bloomberg School of Public Health.

იზოლაცია და
კარანტინი
ძალიან
ეფექტურია
გადაცემის
შემცირების
კუთხით

► ინფექციის
გადაცემის ჯაჭვის
ერთი რგოლის
გაწყვეტას მრავალი
მომავალი
„შემთხვევის“
პრევენცია შეუძლია.

$R_0 = 2$




Image source: Johns Hopkins University.

შემთხვევა, კონტაქტი, იზოლაცია და კარანტინი - განმარტებანი



Copyright © 2020 Johns Hopkins University and Emily Gurley. Except where otherwise noted, this work is licensed under a [Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0](https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/4.0/) license.

Johns Hopkins Bloomberg School of Public Health

„შემთხვევა“ და „კონტაქტი“

▶ „შემთხვევა“ არის:

- ▶ COVID-19-ით ინფიცირებული ადამიანი;
- ▶ როგორც წესი, მას აქვს ლაბორატორიული ტესტის დადებითი პასუხი;
- ▶ საეჭვო ან შესაძლო შემთხვევა;
- ▶ ვისაც კონტაქტი ჰქონდა სიმპტომების მქონე „შემთხვევასთან“, მაშინაც კი, თუ ჯერ არ გაუკეთებია ტესტი;
- ▶ ვისაც აქვს გამოხატული სიმპტომები;

▶ „კონტაქტი“ არის:

- ▶ ადამიანი, რომელსაც გადამდებ „შემთხვევასთან“ ჰქონდა კავშირი:
 - მათი ავად ყოფნის პერიოდში;
 - ავადმყოფობის დაწყებამდე 2 დღით ადრე.
- ▶ არსებობს ორი ძირითადი ტიპის „კონტაქტი“:
 - ფიზიკური;
 - „მაღალი რისკის კონტაქტი“ (შემდგომში „ახლო კონტაქტი“): ვინც შემთხვევასთან 1 მეტრზე ახლო მანძილზე იყო 15+ წუთის განმავლობაში (10 და 30 წუთიც);
 - მესამე ტიპია „ახლომდებარე კონტაქტი“: ვინც ინფიცირებულთან ერთად ხანგრძლივი დრო გაატარა ერთ ოთახში, თუმცა 1 მეტრის დაშორებით.

„თვითიზოლაცია“ და „კარანტინი“

▶ თვითიზოლაცია არის:

- ▶ ავადმყოფის ჯანმრთელი ადამიანებისგან განცალკვებულად ყოფნა;
- ▶ მხოლოდ სახლში, სასტუმროში, საკარანტინე სივრცეში დარჩენა;
- ▶ საავადმყოფოში, ცალკე გამოყოფილ სივრცეში ყოფნა, კონტაქტის შეზღუდვის მიზნით იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ პაციენტი გადამდებია;
 - 2 დღით ადრე დაავადების გამოვლენამდე;
 - ავადმყოფობის დაწყებიდან მინიმუმ 10 დღე და სიმპტომები არ აქვს დამატებითი 72 საათის განმავლობაში

▶ კარანტინი არის:

- ▶ იმ ჯანმრთელი ადამიანების კონტაქტისა და გადაადგილების შეზღუდვა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ინფექციის წყაროსთან;
- ▶ გრძელდება 14 დღე ინფიცირებულ ადამიანთან ბოლო კონტაქტის შემდეგ;

იზოლაციის და კარანტინის ხანგრძლივობის გამოთვლა



Copyright © 2020 Johns Hopkins University and Emily Gurley. Except where otherwise noted, this work is licensed under a [Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0](https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/4.0/) license.

Johns Hopkins Bloomberg School of Public Health

რამდენ ხანს უნდა დარჩეს „შემთხვევა“ სხვებისგან იზოლაციაში?

- ▶ მოკლე პასუხია:
 - ▶ იდეალურ შემთხვევაში იმდენ ხანს რამდენ ხანსაც შესაძლოა მათმა გადამდებლობის პერიოდმა გასტანოს.
- ▶ ვრცელი პასუხია:
 - ▶ სრულ გამოჯანმრთელებამდე:
 - დიაგნოზის დადასტურებისას ისინი უკვე ავად არიან;
 - უნდა დააკვირდნენ თავიანთ სიმპტომებს;
 - გამოჯანმრთელების შემდეგ ადარ არიან გადამდები.
 - ** სიმპტომების დაწყებიდან გასულია მინიმუმ 10 დღე, და თუ სიმპტომები არ აქვს დამატებითი 72 საათის განმავლობაში


MAY 2020

S	M	T	W	T	F	S
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

გადამდებლობის პერიოდის განსაზღვრა: დაურეკეთ „შემთხვევას“

- ▶ დავუშვათ, რომ „შემთხვევას“ 10 მაისს უკავშირდებით.



MAY 2020

S	M	T	W	T	F	S
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10 	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

გადამდებლობის პერიოდის განსაზღვრა: აკადემიკოვობის დასაწყისი


- ▶ დაუშვათ, რომ „შემთხვევას“ 10 მაისს უკავშირდებით;
- ▶ მათ გითხრეს, რომ ავად 9 მაისს გახდნენ;

MAY 2020

S	M	T	W	T	F	S
					1	2
3	4	5	6	7	8	9 
10 	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

გადამდებლობის პერიოდის განსაზღვრა: გამოთვლა


- ▶ დაუშვათ, რომ „შემთხვევას“ 10 მაისს უკავშირდებით;
- ▶ მათ გითხრეს, რომ ავად 9 მაისს გახდნენ;
- ▶ თქვენ იცით, რომ ავად გახდომამდე 2 დღით ადრე ისინი უკვე გადამდები იყვნენ და მინიმუმ მომდევნო 10 დღის განმავლობაში კვლავ ინფექციის წყაროდ დარჩებიან.



გადამდებლობის პერიოდის განსაზღვრა


- ▶ დაუშვათ, რომ „შემთხვევას“ 10 მაისს უკავშირდებით;
- ▶ მათ გითხრეს, რომ ავად 9 მაისს გახდნენ;
- ▶ თქვენ იცით, რომ ავად გახდომამდე 2 დღით ადრე ისინი უკვე გადამდები იყვნენ და მინიმუმ მომდევნო 10 დღის განმავლობაში კვლავ ინფექციის წყაროდ დარჩებიან.

9 მაისი + 10 დღე = 19 მაისს




გადამდებლობის პერიოდის განსაზღვრა: უკუკავშირი

- ▶ „შემთხვევასთან“ რეგულარული უკუკავშირია საჭირო იმისთვის, რომ მან იცოდეს, როდის უნდა შეწყვიტოს სხვებისგან თვითიზოლაცია;
 - ▶ უნდა ვიცოდეთ, როდის აღარ ექნებათ მათ სიმპტომები (მედიკამენტების მიღების გარეშე).



„კონტაქტების“ იდენტიფიცირება მათი გადამდებლობის პერიოდის დროს

- ▶ დავუშვათ, რომ სრულად 19 მაისს გამოჯანმრთელდებიან;
- ▶ ახლა, როდესაც მათი გადამდებლობის პერიოდი ვიცით, დავეხმაროთ მათ „კონტაქტების“ გამოვლენაში;
- ▶ თქვენ მათ 10 მაისს ურეკავთ;
 - ▶ ეკითხებით, ვისთან ჰქონდათ კონტაქტი 7-დან 10 მაისის ჩათვლით;



რამდენ ხანს უნდა დარჩეს „კონტაქტი“ კარანტინში?

- ▶ მოკლე პასუხია:
 - ▶ იდეალურ შემთხვევაში იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ის გადამდებია.
 - ▶ ვრცელი პასუხია:
 - ▶ ინფიცირებულ ადამიანთან ბოლო კონტაქტიდან 14 დღე;
 - თითქმის ყველას, ვინც დაინფიცირებულია, დაავადება გამოუვლინდება 14 დღის განმავლობაში;
 - ▶ ბოლო კონტაქტი შესაძლოა რამდენიმე დღის წინ ჰქონოდათ;
 - ▶ კონტაქტი შეიძლება იყოს მიმდინარე
- **სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში, უნდა განვიხილოთ როგორც „შემთხვევა.“


MAY 2020

S	M	T	W	T	F	S
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

Image source: Center for Teaching and Learning, Johns Hopkins Bloomberg School of Public Health.


რამდენ ხანს უნდა დარჩეს „კონტაქტი“ კარანტინში? დაურევეთ „კონტაქტს“

- ▶ დავუშვათ, რომ „კონტაქტს“ 13 მაისს უკავშირდებით;




რამდენ ხანს უნდა დარჩეს „კონტაქტი“ კარანტინში? ბოლო კონტაქტი „შემთხვევასთან“

- ▶ დავუშვათ, რომ „კონტაქტს“ 13 მაისს უკავშირდებით;
- ▶ საუბრის შედეგად, თქვენ გარკვეით, რომ ბოლო კონტაქტი „შემთხვევასთან“ 10 მაისს ჰქონდათ;



რამდენ ხანს უნდა დარჩეს „კონტაქტი“ კარანტინში? გამოთვლა


- ▶ დავუშვათ, რომ „კონტაქტს“ 13 მაისს უკავშირდებით;
- ▶ საუბრის შედეგად თქვენ გარკვეით, რომ ბოლო კონტაქტი „შემთხვევასთან“ 10 მაისს ჰქონდათ;
- ▶ მათ უნდა მიაწოდოთ ინსტრუქცია, რომ ინფექციის წყაროსთან ბოლო კონტაქტის შემდეგ 14 დღის განმავლობაში დარჩნენ კარანტინში;



რამდენ ხანს უნდა დარჩეს „კონტაქტი“ კარანტინში? 14 დღე ინფექციის წყაროსთან ბოლო კონტაქტიდან

- ▶ დავუშვათ, რომ „კონტაქტს“ 13 მაისს უკავშირდებით;
- ▶ ზარის შედეგად, თქვენ გაარკვეით რომ ბოლო კონტაქტი „შემთხვევასთან“ 10 მაისს ჰქონდათ;
- ▶ მათ უნდა მიაწოდოთ ინსტრუქცია, რომ ინფექციის წყაროსთან ბოლო კონტაქტის შემდეგ 14 დღის განმავლობაში დარჩნენ კარანტინში;

10 მაისს + 14 დღე = 24 მაისს



„კონტაქტებს“, რომლებიც „შემთხვევასთან“ ერთად ცხოვრობენ, შეიძლება უფრო ხანგრძლივი კარანტინი მოუწიოთ

▶ „კონტაქტი“ დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს კარანტინში და საკარანტინო ინსტრუქციების სრულყოფილად შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემთხვევის“ გამოჯანმრთელებიდან კიდევ 14 დღე უნდა დარჩეს კარანტინში;

▶ შესაბამისად, ზოგიერთი „კონტაქტისთვის“ კარანტინი 14 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდება;

MAY 2020


S	M	T	W	T	F	S
					1	2
3	4	5	6	7	8	9
10	11	12	13	14	15	16
17	18	19	20	21	22	23
24	25	26	27	28	29	30
31						

„კონტაქტებს“, რომლებიც „შემთხვევასთან“ ერთად ცხოვრობენ, შეიძლება უფრო ხანგრძლივი კარანტინი მოუწიოთ:

▶ კონტაქტი დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს კარანტინში და საკარანტინო ინსტრუქციების სრულყოფილად შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემთხვევის“ გამოჯანმრთელებიდან კიდევ 14 დღე უნდა დარჩეს კარანტინში;

▶ შესაბამისად, ზოგიერთი „კონტაქტისთვის“ კარანტინი 14 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდება;

▶ დავუშვათ „შემთხვევას“ 13 მაისს დავურეკეთ, მათთან ერთად მცხოვრები ადამიანი კი ავად 9 მაისს გახდა;




„კონტაქტებს“, რომლებიც „შემთხვევასთან“ ერთად ცხოვრობენ, უფრო ხანგრძლივი კარანტინი უწევთ: გამოთვლა

▶ კონტაქტი დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს კარანტინში და საკარანტინო ინსტრუქციების სრულყოფილად შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემთხვევის“ გამოჯანმრთელებიდან კიდევ 14 დღე უნდა დარჩეს იზოლაციაში;

▶ შესაბამისად, ზოგიერთი „კონტაქტისთვის“ კარანტინი 14 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდება;

▶ დავუშვათ „შემთხვევას“ 13 მაისს დავურეკეთ, მათთან ერთად მცხოვრები ადამიანი კი ავად 9 მაისს გახდა;

▶ დავუშვათ „შემთხვევა“ სრულად 19 მაისს გამოჯანმრთელდება (10 დღე).



„კონტაქტებს“, რომლებიც „შემთხვევასთან“ ერთად ცხოვრობენ, კარანტინი უწევთ: 14 დღე ინფექციის წყაროსთან ბოლო კონტაქტიდან

▶ კონტაქტი დაუყოვნებლივ უნდა გადავიდეს კარანტინში და საკარანტინო ინსტრუქციების სრულყოფილად შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემთხვევის“ სრული გამოჯანმრთელებიდან კიდევ 14 დღე უნდა დარჩეს იზოლაციაში;

▶ შესაბამისად, ზოგიერთი „კონტაქტისთვის“ კარანტინი 14 დღეზე მეტ ხანს გაგრძელდება;

▶ დავუშვათ „შემთხვევას“ 13 მაისს დავურეკეთ, მათთან ერთად მცხოვრები ადამიანი კი ავად 9 მაისს გახდა;

▶ დავუშვათ „შემთხვევა“ სრულად 19 მაისს გამოჯანმრთელდება (10 დღე);

▶ შესაბამისად, „შემთხვევასთან“ ბოლო კონტაქტიდან მე-14 დღე 2 ივნისია.



მაღალი რისკის შემცველი სიტუაციების იდენტიფიცირება



Copyright © 2020 Johns Hopkins University and Emily Gurley. Except where otherwise noted, this work is licensed under a [Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0](https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/4.0/) license.

Johns Hopkins Bloomberg School of Public Health

მნიშვნელოვანი ტერმინები

▶ მჭიდროდ დასახლებული გარემო

- ▶ ეს არის ნებისმიერი საერთო საცხოვრებელი გარემო, სადაც ადამიანს ან ოჯახს აქვს თავისი საცხოვრებელი სივრცე, მაგრამ სხვებთან იზიარებს, მაგალითად, სასადილოს, რეკრეაციულ გარემოს ან სხვ.

▶ მაღალი რისკის სუბპოპულაციები

- ▶ მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც გარკვეული საერთო მახასიათებლები აერთიანებს, რომლებიც მათი დაინფიცირებისა და დაავადების მძიმე ფორმის განვითარების რისკს ზრდის.

ფაქტორები,
რომლებიც
ზრდის
ინფექციის
გავრცელების ან
დაავადების
მძიმე ფორმის
განვითარების
რისკს



▶ **მაღალი რისკის პოპულაციები:**

- ▶ მჭიდროდ დასახლებული გარემო;
- ▶ რთულია კონტაქტების მიდევნება და ინფექციის წყაროსთან კონტაქტის მქონე პირების იდენტიფიცირება;
- ▶ რთულია იზოლაცია ან კარანტინი;
- ▶ მაღალია ინფექციის გადაცემის, დაავადების მძიმე ფორმის და სიკვდილის რისკი.

მჭიდრო კონტაქტების გარემო

- ▶ მასობრივი შეკრებები ;
- ▶ ახლო კონტაქტი და ურთიერთობა;
 - ▶ ფიზიკური კონტაქტი;
 - ▶ 1 მეტრზე ახლო მანძილზე ყოფნა ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
- ▶ შესაძლოა გამოიწვიოს „სუპერგავრცელება“ - ასეთი სიტუაციების რეპროდუქციული რიცხვი უჩვეულოდ მაღალია.

გარემო სადაც მჭიდრო კონტაქტი გარდაუვალია: მაგალითები

- ▶ მასობრივი შეკრებები
- ▶ ახლო კონტაქტი და ურთიერთობა;
 - ▶ ფიზიკური კონტაქტი;
 - ▶ 1 მეტრზე ახლო მანძილზე ყოფნა ხანგრძლივი დროის განმავლობაში;
- ▶ შესაძლოა გამოიწვიოს „სუპერგავრცელება“ - ასეთი სიტუაციების რეპროდუქციული რიცხვი უჩვეულოდ მაღალია.

- ▶ **მაგალითები:**
 - ▶ კონფერენციები
 - ▶ მგზავრობა ჯგუფებად
 - ▶ რელიგიური ცერემონიები
 - ▶ დემონსტრაციები
 - ▶ სამუშაო ადგილი
 - ▶ ბარები
 - ▶ სპორტული დარბაზები
 - ▶ სკოლები
 - ▶ სპორტული ღონისძიებები
 - ▶ კონცერტები

რთულია „კონტაქტების“ მიღვევნება და ინფექციის წყაროსთან კონტაქტის მქონე პირების იდენტიფიცირება

- ▶ უცნობია „ახლო კონტაქტების“ ვინაობა;
- ▶ “შემთხვევის” მიერ გახსენებული „ახლო კონტაქტების“ სია არასანდოა;
- ▶ შეიძლება არსებობდეს ძალიან ბევრი კონტაქტი, რაც ართულებს იმის გამოვლენას, თუ ვინ არის ინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ;

რთულია კონტაქტების მიღვენება და ინფექციის წყაროსთან კონტაქტის მქონე პირების იდენტიფიცირება: მაგალითი

- ▶ უცნობია „ახლო კონტაქტების“ ვინაობა;
- ▶ “შემთხვევის” მიერ გახსენებული ახლო კონტაქტების სია არასანდოა;
- ▶ შეიძლება არსებობდეს ძალიან ბევრი კონტაქტი, რაც ართულებს იმის გამოვლენას, თუ ვინ არის ინფიცირების ყველაზე მაღალი რისკის ქვეშ;

▶ მაგალითი: მიუსაფართა თავშესაფარი

- ▶ „შემთხვევამ“ შეიძლება ვერ გაიხსენოს ყველა „კონტაქტი.“
- ▶ შეიძლება ეს „კონტაქტები“ ახლა მრავალ სხვადასხვა ადგილას იყვნენ გაფანტული.
- ▶ ინფექციის წყაროსთან კონტაქტის მქონე მიუსაფართა მოკვლევასა და ტესტირებასთან დაკავშირებული სირთულეები.

რთულია თვითიზოლაცია და კარანტინი

- ▶ შეუძლებელია სხვებისგან დისტანციის დაცვა.
შესაძლო მიზეზები:
 - ▶ სახლის ან დაწესებულების გეგმარება;
 - ▶ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები;
 - ▶ არასაკმარისი რესურსები
 - (პირბადეები, ხელთათმანები, მომსახურე პერსონალი);
- ▶ სოციალური წნეხი;
- ▶ თანამშრომლობის სურვილის არარსებობა.

რთულია თვითიზოლაცია და კარანტინი: მაგალითი

▶ შეუძლებელია სხვებისგან დისტანციის დაცვა - მიზეზები:

- ▶ სახლის ან დაწესებულების გეგმარება;
- ▶ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირები;
- ▶ არასაკმარისი რესურსები
 - (პირბადეები, ხელთათმანები, მომსახურე პერსონალი);
- ▶ სოციალური წნეხი;
- ▶ თანამშრომლობის სურვილის არარსებობა;

▶ **მაგალითი: მოვლის შუალედური დაწესებულება**

- ▶ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების სახლი;
- ▶ მოსახლეებს შეიძლება არ ჰქონდეთ თანამშრომლობისთვის საჭირო უნარები:
 - შეიძლება არ ესმოდეთ ჰიგიენისა და სოციალური დისტანციის არსი;
 - რთული იყოს იმ ადამიანების ინფიცირებული ადამიანებისგან განცალკევება, რომლებიც მოვლას საჭიროებენ;
 - ინფექციის ეფექტური პრევენციისთვის უფრო რთულია რესურსების მობილიზება (პირბადეები, სპეცტანსაცმელი).

ინფექციის, მძიმე დაავადების ან სიკვდილის მაღალი რისკი

- ▶ დაინფიცირების ალბათობა უფრო მაღალია ახლო კონტაქტების არსებობის გამო;
- ▶ მეტია თანმდევი სამედიცინო მდგომარეობების (გულის და რესპირატორული პათოლოგიები, სუსტი იმუნური სისტემა) არსებობის ალბათობა;
- ▶ შესაძლოა ინფექციის წყაროსთან მრავალჯერადი შეხება ჰქონდეთ;

ინფექციის, მიძიმე დაავადების ან სიკვდილის მაღალი რისკი: მაგალითი

- ▶ დაინფიცირების ალბათობა უფრო მაღალია ახლო კონტაქტების არსებობის გამო;
- ▶ მეტია თანმდევი სამედიცინო მდგომარეობების (გულის და რესპირატორული პათოლოგიები, სუსტი იმუნური სისტემა) არსებობის ალბათობა;
- ▶ შესაძლოა ინფექციის წყაროსთან მრავალჯერადი შეხება ჰქონდეთ;

- ▶ **მაგალითი: საცხოვრებელი დაწესებულება, სადაც მობინადრეებს ესაჭიროებათ მოვლა.**
 - ▶ მჭიდროდ დასახლებული გარემო;
 - ▶ მობინადრეების უმრავლესობა 60 წელს გადაცილებულია;
 - ▶ მაცხოვრებლებს სხვადასხვა ტიპის მოვლა სჭირდებათ: მათ შორის, როდესაც ექთნებს ავადმყოფებისა ან ტრამპების მქონე პაციენტების მოვლა უწევთ;

კონტაქტების მიღვევნების სპეციალისტმა უნდა შეძლოს მაღალი რისკის შემცველი სიტუაციების ამოცნობა

- ▶ რისკების სწორად შეფასებისთვის უნდა შეაგროვოთ ყველა საჭირო ინფორმაცია:
 - ▶ ადგილმდებარეობა და კონტაქტების ტიპი;
 - ▶ დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია;
 - ▶ ახლო კონტაქტების საკონტაქტო ინფორმაცია;
 - ▶ დეტალები, მაგ.: რეისის ნომერი, ფილმის სათაური, კონფერენციის სახელწოდება, საკლასო ოთახის სახელი, დაწესებულების სახელწოდება;
- ▶ მაღალი რისკის შემცველი სიტუაციების იდენტიფიცირებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ზარის განხორციელებისას სპეციალისტი იყოს ყურადღებით და შეძლოს საერთო ნიშნების ამოცნობა - მოვლენებსა და ფაქტებს შორის კავშირის დანახვა.
- ▶ შეატყობინეთ „შემთხვევას“, რომ შესაძლოა კიდევ დაუკავშირდეთ მას;
- ▶ **სიტუაციის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ უშუალო ხელმძღვანელს.**

შეჯამება



Copyright © 2020 Johns Hopkins University and Emily Gurley. Except where otherwise noted, this work is licensed under a [Creative Commons Attribution-NonCommercial-ShareAlike 4.0](https://creativecommons.org/licenses/by-nc-sa/4.0/) license.

Johns Hopkins Bloomberg School of Public Health

კონტაქტების მიღწევა: შეჯამება

- ▶ ჩვენ შეგვიძლია COVID-19-ის გადაცემის შეჩერება, თუ სწრაფად დავადგენთ „შემთხვევებს“ და მათ „კონტაქტებს“, ასევე, დავარწმუნებთ მათ, რომ შეწყვიტონ კონტაქტი სხვა ადამიანებთან;
- ▶ „შემთხვევები“, რომლებსაც გადამდებლობის პერიოდი აქვთ, უნდა გადავიდნენ თვითიზოლაციაში ავად გახდომიდან მინიმუმ 10 დღის განმავლობაში;
- ▶ „კონტაქტებმა“ კი დაინფიცირებულ პაციენტთან უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ კარანტინში 14 დღე უნდა გაატარონ;
- ▶ ზოგიერთ „შემთხვევას“ შეიძლება კონტაქტი მრავალ ადამიანთან ჰქონდეს, იმის მიხედვით, თუ სად იყვნენ ან სად ცხოვრობენ, ასეთი სიტუაციების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს თქვენს ხელმძღვანელს;